წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი # 17

ქ. წალკა; **28.11.2025 წ.**

სხდომას თავმჯდომარეობდა – ირაკლი გიგინეიშვილი;
საკრებულოს 45 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 41 დეპუტატი: გოჩა ხაჩატურიან, ჯაბა აბულაძე, რადიკ სარკისიან, ავთანდილ ვანაძე, მელიტონ პაკელიანი, ჯემალი ბერიძე, ნუგზარი ჩამურლიევი, ლევონ მარკოსიან, ანტარამ მელტონიან, მანანა გულედანი, დავით კვარაცხელია, ლაერტ ტოროსიან, დიმიტრი ვახტანგიშვილი, ალექსეი მუხსიევი, იდა ბალაბანოვა, ზვიად ვანაძე, ემილ ხაჩატურიან, ლერიკ დელიანოვ, უშანგი ბოლქვაძე, რუბენ ანესიან, სარკის ოგანესიან, სარკის გინოსიან, ხაჩატურ მაზმანიან, მარინე ირემაძე, ბადრი ხოზრევანიძე, გრიშა რანიან, ვახტანგი შავაძე, მამუკა გელაძე, ზვიადი ხორგუანი, გიორგი ვაშაყმაძე, როლანდ კახაძე, ფაიგ დანაჩიევი, გია ვაშაყმაძე, რამაზი ხინიკაძე, ტატევოს ტოროსიან, მარადი კახაძე, ლერი ფირცხელიანი, ედუარდ სტეპანიანი, ალექსანდრე შავაძე, რამინ ალახვერდოვი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
წალკის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **ანზორ ხინიკაძე;**
წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ამირან საყვარელიძე/;**

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულების პროექტი „მდგრადი განვითარების მიზნების წალკის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“;

2. განკარგულების პროექტი "წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2025 წლის ნოემბრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: საკრებულომ ღია კენჭისყრით (41 მომხრე, 0 წინააღმდეგი) ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. განკარგულების პროექტი „მდგრადი განვითარების მიზნების წალკის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“;

/მომხსენებელი: ანზორ ხინიკაძე- წალკის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი/
/თანამომხსენებლები: მელიტონ პაკელიანი-სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ანტარამ მელტონიანი-სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიანი ქონების-მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ნუგზარ ჩამურლიევი-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, ჯემალი ბერიძე-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, უშანგი ბოლქვაძე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე, ბადრი ხოზრევანიძე რაქცია „ხალხის ძალის" თავმჯდომარე;

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2025 წლის ნოემბრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ";

/მომხსენებელი: ჯემალი ბერიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/;

სხდომამ განიხილა:

1. განკარგულების პროექტი „მდგრადი განვითარების მიზნების წალკის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ";
/მომხსენებელმა: ანზორ ხინიკაძემ საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;
/თანამომხსენებელმა: მელიტონ პაკელიანმა საკრებულოს გააცნო სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე; ანტარამ მელტონიანმა საკრებულოს გააცნო სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე; ნუგზარ ჩამურლიევმა საკრებულოს გააცნო სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე, ჯემალი ბერიძემ საკრებულოს გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე, ლევონ ნარკოსიანმა საკრებულოს გააცნო ქონების-მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე, უშანგი ბოლქვაძემ საკრებულოს გააცნო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს დასკვნა დადგენილების პროექტზე, ბადრი ხოზრევანიძემ საკრებულოს გააცნო ფრაქცია „ხალხის ძალის" დასკვნა დადგენილების პროექტზე.
საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, შენიშვნები და მოსაზრებები არ გააჩნიათ;
განკარგულება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (41 მომხრე, 0 წინააღმდეგი) (განკარგულება #გ-119. 11925332001 თან ერთვის)

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2025 წლის ნოემბრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ";
/მომხსენებელმა: ჯემალ ბერიძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;
საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ;
განკარგულება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (41 მომხრე, 0 წინააღმდეგი) (განკარგულება #გ-119. 119253322 თან ერთვის);

საკრებულოს თავმჯდომარე **ი.გიგინეიშვილი**